



**აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი**



ასოცირებული პროფესორი მანანა არაბული



ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია



ასოცირებული პროფესორი ირაკლი ამირანაშვილი



ასოცირებული პროფესორი ნინო ფრუიძე




ასოცირებული პროფესორი სოფიკო კანდელაკი




ასისტენტ-პროფესორი ლალი ალადაშვილი



ასისტენტ-პროფესორი მაია ხარაბაძე




ასისტენტ-პროფესორი ელენე შვანგირაძე



ასისტენტ-პროფესორი მარინა ფაილოძე



ასისტენტ-პროფესორი ცისანა ხობერიძე



ასისტენტ-პროფესორი თამარ სულთანისვილი



ადამიანის ნორმალური ანატომიის დეკარტაქენტი

ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრა დაარსდა 1918 წლის აგვისტოში.

კათედრის გამგეები იყვნენ:

პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი (1918-1959),
პროფესორი ზაქარია მაისურაძე (1959-1972),
პროფესორი ზურაბ კაციტაძე (1972-1998),
აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი (1998 წლიდან დღემდე).

ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრა თბილისის ახალ დაარსებულ უნივერსიტეტში პირველი სამედიცინო პროფილის კათედრა იყო.

იმთავითვე, მის უმთავრეს პრობლემად იქცა მანამდე არარსებული ქართული ანატომიური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა და დანერგვა.

უკვე 1918-1919 წლებში გამოიცა ბაზელის საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგიის შესატყვისი ოსტეოლოგიის, სკლანქნოლოგიის, გრძნობათა ორგანოებისა და ნერვული სისტემის ქართული ანატომიური ტერმინოლოგია, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არა მარტო ადამიანის ნორმალური ანატომიის, არამედ სხვა სამედიცინო სპეციალობების განვითარებასაც.

ანატომიური ტერმინოლოგია შემდგომ სრულად იქნა შეტანილი პროფესორ ა. ნათიშვილის სახელმძღვანელოში და პროფესორ ზ. მაისურაძის მიერ 1947 წელს გამოცემულ „სამედიცინო ტერმინოლოგიაში“.

კათედრაზე მიმდინარეობდა სისტემატური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

უნდა აღინიშნოს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მონაკვეთების შედარებითი და ასაკობრივი ანატომიის, სხვადასხვა შინაგანი ორგანოს სისხლძარღვოვანი კალაპოტის ვარიანტების კვლევა და სხვა.

პროფესორ ზაქარია მაისურაძის ხელმძღვანელობის პერიოდში კათედრის თანამშრომლების მიერ დადგინდა ახალშობილის თავის ტვინის, ზოგიერთი შინაგანი ორგანოს მაკრო და მიკრო ვასკულარიზების თავისებურებები.

აღსანიშნავია პროფესორ ზურაბ კაციტაძის ხელმძღვანელობის პერიოდში (1972- 1998 წწ.) კათედრის მატერიალური ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება, რამაც შესაძლებელი გახადა კათედრაზე დამოუკიდებელი, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სალექციო აუდიტორიის, სასექციო დარბაზის და სამაცივრო დანადგარის მქონე მორგის მოწყობა, ახლებურად განთავსდა ანატომიური მუზეუმიც.

აღნიშნულ პერიოდში, კათედრაზე კვლევა წარიმართა სამედიცინო ანთროპოლოგიის მიმართულებით.

პარალელურად, ახალი მეთოდების და სამედიცინო ტექნიკის გამოყენებით, გაგრძელდა შინაგან ორგანოთა მიკროცირკულაციური კალაპოტის შესწავლა.

პროფესორ რ.ხეცურიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა ორიგინალური კვლევა პლაცენტის მიკრო-მაკრო ვასკულარიზების და ფუნქციური ანატომიის მიმართულებით.

1988 წელს, ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგედ აირჩიეს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი რამაზ ხეცურიანი.

ამ პერიოდში კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებები იყო:

შინაგან ორგანოთა მიკროცირკულაციური კალაპოტის შესწავლა (წვრილი და მსხვილი ნაწლავები, თირკმელი, საშვილოსნო, პლაცენტა და სხვ.);

სამედიცინო ანთროპოლოგიის პრობლემები (ახალშობილთა და ბავშვთა ფიზიკური განვითარების მონაცემების შეფასება ევზოგენური და ენდოგენური ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით); ზოგიერთი შინაგანი ორგანოს ლიმფური სისტემის კვლევა (საშვილოსნო, ნაწლავები).



ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი

2006 წელს, კათედრა მიმართულების სახით შევიდა მორფოლოგიის დეპარტამენტის შემადგენლობაში, ხოლო 2009 წელს გარდაიქმნა დამოუკიდებელ დეპარტამენტად.

დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია დიპლომამდელი და სარეზიდენტო პროგრამები.

ბოლო წლებში დეპარტამენტი მუშაობდა შემდეგ ფინანსირებად სამეცნიერო პროექტებზე:

1. Prolongation of Expected Life Span and Improvement Of Life Quality Basing on the Experience of Caucasian Longevity and Georgian Traditional Medicine.

ISTC გრანტი (რ.ხეცურიანი და სხვ.).

2. ორგანიზმის ასაკთან დაკავშირებული სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები ერიტროციტებში (რ.ხეცურიანი და სხვა).

ამჟამად დეპარტამენტის კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

შინაგან ორგანოთა მიკროცირკულაციური კალაპოტის,

ზოგიერთი შინაგანი ორგანოს ლიმფური სისტემის (საშვილოსნო, ნაწლავი, თირკმელი, ღვიძლი) შესწავლა,

სხვადასხვა მიკრო ელემენტების (მანგანუმი) ზემოქმედების შედეგად თავის ტვინსა და ღვიძლში განვითარებული მორფოლოგიური ძვრების შეფასება თანამედროვე ტექნიკური მეთოდების გამოყენებით.

დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ განვლილ პერიოდში გამოცემულია შემდეგი სახელმძღვანელოები:

- ალ. ნათიშვილი - „ადამიანის ანატომია“-1976;

- ზ. კაციტაძე - „ადამიანის ანატომია (პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) – 1989 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია;

- რ. ხეცურიანი, თ. კაციტაძე - „ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია“ (სახელმძღვანელო სამედიცინო სასწავლებლებისათვის) – 1993 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია;

- რ. ხეცურიანი - „ადამიანის ნორმალური ანატომია“ – 2011;

- რ. ხეცურიანი - „ადამიანის ანატომია“ და I და II ტომი - 2015, 2016, 2020;

- აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოები სისტემების მიხედვით (ავტორთა ჯგუფი - რ.ხეცურიანი, ა.შუკაკიძე, მ.არაბული, ე.შვანგირაძე და სხვები. 2012,2013,2015 წწ).

პედაგოგიური პერსონალი:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი რამაზ ხეცურიანი;

ასოცირებული პროფესორები - მანანა არაბული, დავით თოფურია, ნინო ფრუიძე, ირაკლი ამირანაშვილი, სოფიკო კანდელაკი.

ასისტენტ-პროფესორები - ცისანა ხომერიკი, ელენე შვანგირაძე, მაია ხარაბაძე, ლალი ალადაშვილი, ნინო მდივანი, მარინა ფაილოძე, თამარ სულთანაშვილი.

დეპარტამენტში აკადემიურ მუშაობას ეწევიან მოწვეული მასწავლებლები:

ლეილა ჩუბინიძე, ლია კილაძე, ოლია თავაძე, ელისო ყიფიანი, ნინო ქორჩაკიძე, ნატო ქლიკაძე, ანზორ გოგიბერიძე, ინეზა ბობოხიძე, ნიკოლოზ ვაჩაძე;

ლაბორანტები - ქეთევან თავბერიძე და ნანა ქვრივიშვილი.